საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი

დამტკიცებულია

რექტორის 2021 წლის 15 პრილის №212 ბრძანებით

შეტანილია ცვლილებები:

1. რექტორის 2022 წლის 11 აგვისტოს N663 ბრძანებით
2. რექტორის 2023 წლის 25 ივლისის N865 ბრძანებით
3. რექტორის 2023 წლის 07 სექტემბრის N 1006 ბრძანებით
4. რექტორის 2024 წლის 13 მარტის N303 ბრძანებით

თბილისი
2021

თავი I.
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი რეგულაციები

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში - სეუ) სასწავლო პროცესის რეგულირების წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და სეუ-ს შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.
2. სეუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი (შემდგომში - წესი) არეგულირებს სეუ-ს მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების, სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასებისა და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
3. სეუ სასწავლო პროცესს განახორციელებს ამ წესის, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მისი შემადგენელი სასწავლო კომპონენტების შესაბამისი სილაბუსების მკაცრი დაცვით.
4. სეუ ახორციელებს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ერთსაფეხურიან პროგრამას.
5. სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების ენაა ქართული და ინგლისური. უცხო ენაზე სწავლება, გარდა ინდივიდუალური სასწავლო კურსებისა, დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
6. სეუ-ს სტუდენტთა კონტიგენტის მონაცემები და შესაბამისი ცვლილებები რეგისტრირდება სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №127/ნ ბრძანების შესაბამისად.
7. საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქვეყნდება სეუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.seu.edu.ge.
8. სტუდენტებსა და სეუ-ს შორის ოფიციალურ საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - emis.seu.edu.ge, რომლის საშუალებითაც სეუ სტუდენტებს უგზავნის და იღებს კორესპოდენციას/ინფორმაციას. სტუდენტისათვის სეუ-ს მიერ ელექტრონულ სისტემაში პერსონალურად გაგზავნილი კორესპოდენცია/ინფორმაცია ითვლება ჩაბარებულად/მიღებულად.
9. სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს ელექტრონულ სისტემაში საკუთარ გვერდზე მიღებული კორესპოდენცია/ინფორმაცია და გაითვალისწინოს სასწავლო პროცესში.
10. სეუ-ში, ყოველი ახალი სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, იმართება საინფორმაციო შეხვედრები ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან, სადაც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია სეუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის რეგულირების წესის, ეთიკის კოდექსისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა რეგულაციების შესახებ.

11. წინამდებარე წესი სავალდებულოა შესასრულებლად სეუ-ს სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და სასწავლო პროცესის განხორციელების ხელშემწყობი პერსონალისათვის.

თავი II.
სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის ცნება

1. სტუდენტი არის პირი, რომელიც ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და ამ წესის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სეუ-ში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად (ბრძანება №303 13.03.2024).
2. ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის/დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, მობილობით ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად (ბრძანება №303 13.03.2024).
3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე, მობილობით ან საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

3[1]. ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის მაგისტრატურის 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც აქვს არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში. აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა საუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდ(ებ)ის ან/და გასაუბრების შედეგების საფუძველზე და პროგრამით გათვალისწინებული დაშვების სხვა წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში (ბრძანება №303 13.03.2024).

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. სეუ-ს ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვა სეუ-ში ჩარიცხვის უფლება და გაიარა რეგისტრაცია.
2. რეგისტრაცია არის სავალდებულო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, გონივრულ ვადებში და მოიცავს ორ ეტაპს:

ა) პირველ ეტაპზე - აბიტურიენტმა, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვა სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, უნდა გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია შემდეგ გვერდზე: abi.seu.edu.ge, სადაც ატვირთავს განცხადებას (სპეციალური ფორმა) და სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი დოკუმენტების ელექტრონულ ვერსიებს;

ბ) მეორე ეტაპზე - აბიტურიენტმა ადგილზე უნდა წარმოადგინოს სტუდენტის სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო დოკუმენტები მატერიალური სახით.

2. სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარმოსადგენი დოკუმენტებია:

   ა) პირადობის მოწმობა (ასლი);

   ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი) დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

   გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);

   დ) ფოტოსურათის (3X4) ელექტრონული ვერსია;

   ე) არასრულწლოვანის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის/მშობლის პირადობის მოწმობის ასლი.

3. ინფორმაცია აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის თაობაზე მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება სეუ-ს ვებგვერდზე, რექტორის ბრძანების ძალაში შესვლის დღეს.
4. რეგისტრაციის შედეგებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, რექტორი გამოსცემს ერთიან აქტს (ბრძანებას) სეუ-ში სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ და აფორმებს მათთან (არასრულწლოვანის შემთხვევაში - კანონიერ წარმომადგენელთან) ხელშეკრულებას.
5. რექტორის ბრძანება სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ გამოიცემა არაუგვიანეს შესაბამისი სასწავლო წლის პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, ხოლო მონაცემები ჩარიცხულ სტუდენტთა შესახებ შეიტანება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
6. აბიტურიენტი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ არ გაივლის რეგისტრაციას დადგენილ ვადაში და შესაბამისად ვერ მოხვდება რექტორის ბრძანებაში, უფლებამოსილია მიმართოს სეუ-ს ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ბრძანების გამოცემიდან მომდევნო წლის სექტემბრამდე. (ბრძანება №865 25.07.2023).
7. რექტორი ვალდებულია, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირების ჩარიცხვის შესახებ ბრძანება გამოსცეს ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი, გამოცემიდან 15 დღის ვადაში, იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ამ გზით პირის ჩარიცხვა გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.
8. აბიტურიენტთა რეგისტრაციის ორგანიზება, სარეგისტრაციო დოკუმენტების მიღება და სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად ინფორმაციის მომზადება ევალება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, ხოლო რეესტრში შესატან ინფორმაციაზე პასუხისმგებელია - საქმისწარმოებისა და რეესტრის სამსახური.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე

1. სეუ-ს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების საფუძველზე მოიპოვა სეუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება და ჩააბარა სეუ-ს მიერ დანიშნული შიდა გამოცდები: გამოცდა სპეციალობაში და გამოცდა უცხოურ ენაში.
2. სეუ-ს მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და გაიარა რეგისტრაცია.
3. შიდა გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს სეუ-ში, რექტორის აქტით დადგენილ გონივრულ ვადაში.
4. ინფორმაცია რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის თაობაზე მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება სეუ-ს ვებგვერდზე, რექტორის ბრძანების ძალაში შესვლის დღეს.
5. მაგისტრატურის პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა, რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში, რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განცხადება (ივსება სპეციალური ფორმა) და თან დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

   ა) პირადობის მოწმობა (ასლი);

   ბ) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი (შესაძლებელია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის წარმოდგენა, დროებით/გონივრული ვადით);

   გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

   დ) ფოტოსურათის (3X4) ელექტრონული ვერსია;

   ე) საერთო სამაგისტრო გამოცდის საგამოცდო ბარათი / საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები (ამონაბეჭდი საიტიდან - www.naec.ge);

   ვ) უცხო ენის ენობრივი კომპეტენციის (B2 დონე) დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. რეგისტრაციის შედეგების საფუძველზე, სეუ უზრუნველყოფს შიდა მისაღები გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებას. შიდა სამაგისტრო გამოცდების თემატიკას ადგენს შესაბამისი ფაკულტეტი და ქვეყნდება სეუ-ს ვებგვერდზე, გონივრულ ვადაში.
7. უცხო ენის გამოცდისგან გათავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს.
8. მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებმაც ჩააბარეს შიდა გამოცდები (გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი), იგზავნება შეტყობინება სეუ-ს სახელით ან/და სია ქვეყნდება ვებგვერდზე (პერსონალურ მონაცემთა დაცვით) ან სხვა, გამოცდების დასრულებიდან სამი დღის ვადაში. შიდა გამოცდების შედეგების გამოცხადების შემდეგ, მაგისტრანტობის კანდიდატს შეუძლია გაასაჩივროს შედეგები გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში. არსებობის შემთხვევაში,

მაგისტრანტობის კანდიდატთა საჩივრებს განიხილავს საპრეტენზიო საბჭო (შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით) და იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების თაობაზე, საჩივრების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში.

9. გასაჩივრების პროცედურების დასრულების შემდეგ გამოვლინდება მაგისტრატურაში ჩასარიცხ კანდიდატთა ვინაობა, რომლებმაც საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სეუ-ს შიდა გამოცდების შედეგების საფუძველზე უფლება მოიპოვეს სწავლა გააგრძელონ სეუ-ს შესაბამის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
10. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა მაგისტრატურაში მისაღები საერთო სამაგისტრო გამოცდისა და სეუ-ს შიდა გამოცდების შედეგების მიხედვით შედგენილი რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე და მაგისტრანტობის კანდიდატთან ხელეკრულების გაფორმების შემდეგ.
11. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც არ გააფორმებს ხელშეკრულებას, სეუ-ში არ ჩაირიცხება და მის ადგილს დაიკავებს რანჟირების დოკუმენტით დაგროვებული ქულების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატი.
12. რექტორის აქტი მაგისტრატურაში სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ აისახება სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.
13. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ორგანიზება, სარეგისტრაციო დოკუმენტების მიღება და შესაბამისი ინფორმაციის მომზადება ევალება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, ხოლო სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში შესატან ინფორმაციაზე პასუხისმგებელია - საქმისწარმოებისა და რეესტრის სამსახური.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე

1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სეუ-ს ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის ან/და დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა დასაშვებია (ბრძანება №303 13.03.2024):

   ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეები არიან), რომლებმაც საქართველოში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება საქართველოს მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის ან საერთაშორისო პროგრამების მიხედვით (ბრძანება №303 13.03.2024);

   ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

   გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე

სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/ კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება სეუ-ს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/ სწავლობდნენ (უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში) და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით;

ე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტში მითითებულმა პირებმა, სეუ-ში სწავლის გაგრძელების მიზნით, განცხადებით უნდა მიმართონ რექტორს, წერილობითი თანხმობის მისაღებად.

4. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულმა პირებმა, განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი - პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/

სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ დაწესებულებაში.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულმა პირებმა, განცხადებას თან უნდა დაერთონ:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) საქართველოში მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები - მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის:

გ.ა) რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით;

გ.ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები, რომლებიც უცხო ენაზეა შედგენილი, უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

7. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტში მითითებული პირების მიერ სეუ-ში სწავლის გაგრძელების მიზნით წარმოდგენილი განცხადების განხილვის საფუძველზე, სეუ ატარებს გასაუბრებას და ტესტირებას, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი აბიტურიენტის/სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატთან საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ენის ცოდნის დონის დადგენის მიზნით (ბრძანება №303 13.03.2024).

8. ჩატარებული გასაუბრებისა და ტესტირების შედეგებით უნდა დასტურდებოდეს სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის ფლობა არანაკლებ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ დონეზე. ამ შემთხვევაში, სეუ-ს სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე, გასცემს რექტორის წერილობითი თანხმობა აბიტურიენტის/ სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის შესაბამის პროგრამაზე მიღების შესაძლებლობის თაობაზე (ბრძანება №303 13.03.2024).

9. აბიტურიენტები/სტუდენტები/მაგისტრანტობის კანდიდატები ერთიანი ეროვნული გამოცდების/ საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე სეუ-ში სწავლის უფლებას მოიპოვებენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომელიც ეგზავნება სეუ-ს.

10. რექტორი ვალდებულია, ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პირების ჩარიცხვის შესახებ ბრძანება გამოსცეს ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორის შესაბამისი ბრძანება აისახება რეესტრში, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

11. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველ პირთა დოკუმენტაციის მიღება და შესაბამისი პროცედურების ორგანიზება ევალება: საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში - სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სეუ-სა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
   ბ) ფინანსური დავალიანება;
   გ) რეგისტრაციის გაუვლელობა (ადმინისტრაციული; აკადემიური);
   დ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
   ე) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა.
3. უცხოელი სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერების საფუძველი, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულისა, არის - „საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე სტუდენტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობებისა და წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N572 დადგენილების დანართით გათვალისწინებული პირობების დარღვევა, კერძოდ - სადაზღვევო პოლისის წარმოუდგენლობა.

3[1]. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეს შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი თუ მან სასწავლო კომპონენტის შეფასების სულ მცირე ერთ კომპონენტში არ მიიღო შეფასება, აკადემიური რეგისტრაციის გავლიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში. (ბრძანება №1006 07.09.2023).

4. ფინანსური დავალიანების საფუძველზე სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება სეუ-სა და სტუდენტს შორის არსებული ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში.
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა ჯამში 5 წელი. სტუდენტის სტატუს შეჩერებული პირი სარგებლობს შიდა და გარე მობილობის უფლებით. იმ სტატუსშეჩერებული სტუდენტებისათვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ამ პუნქტით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5 წლიანი ვადის ათვლა დაიწყოს 2024 წლის პირველი მარტიდან. (ბრძანება №303 13.03.2024).
6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადის, ჯამში 5 წლის გასვლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი და უფლება აქვს სტატუსის შეწყვეტიდან ერთი წლის განმავლობაში ისარგებლოს მობილობის უფლებით.(ბრძანება №303 13.03.2024).
7. დაუშვებელია გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

8. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება რექტორის ბრძანებით და შესაბამისი ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში აისახება რეესტრში. სტუდენტისათვის შესაბამისი ბრძანების მიწოდება/ჩაბარებად ითვლება სტატუსის შესახებ ინფორმაციის ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
   ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
   ბ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
   გ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
   დ) სტუდენტის სტატუსის შეჩერების ჯამში 5 წლიანი ვადის გასვლა; (ბრძანება №303 13.03.2024).
   ე) გარდაცვალება;
   ვ) ეთიკის კოდექსის დარღვევა.
2. სტუდენტისათვის სტატუსის შეწყვეტა ეთიკის კოდექსის დარღვევის საფუძველზე შესაძლებელია დისციპლინური წარმოების გზით და იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა მძიმე დარღვევა, რომელიც უხეში, განზრახი ხასიათისაა და დარღვევას თან ახლავს საფრთხე/ნეგატიური შედეგები სეუ-ს, მისი პერსონალის ან სხვა სტუდენტის ან მესამე პირებისათვის.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის დასაბუთებელი ბრძანებით და იწვევს სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება რექტორის ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.
5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. სეუ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უზრუნველყოფს რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ასახვას.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტისათვის შეჩერებული სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერებიდან ჯამურად არაუმეტეს 5 წლის ვადაში. სტუდენტის პირადი განცხადებით, იმ გარემოების აღმოფხვრის შემდეგ, რამაც გამოიწვია სტუდენტის სტატუსის შეჩერება. (ბრძანება №303 13.03.2024).
2. თუ სტუდენტს შეუჩერდება სტატუსი სემესტრის მიმდინარეობის დროს, სტატუსის აღდგენა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ გაბათილებულია შეჩერების საფუძველი და მიმდინარე სემესტრის ფარგლებში შესაძლებელია აკადემიური შედეგების მიღწევა, ამ წესის მე-17 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტისგან განსხვავებულ შემთხვევაში, სტუდენტს სტატუსი აღუდგება მომდევნო სემესტრზე, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გზით და მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების სემესტრი განესაზღვრება მის მიერ გავლილი პროგრამის ფარგლებში ათვისებული კრედიტების მოქმედ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით, ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.
4. დაუშვებელია იმ პირის აღდგენა სეუ-ში, რომელსაც სეუ-ს სტუდენტის სტატუსი შეუწყდა ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში.
5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება რექტორის ბრძანებით და სტუდენტის სტატუსის აღდგენა რეესტრში აისახება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

თავი III.
მობილობა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

მუხლი 9. სტუდენტთა მობილობის წესი

1. სეუ-ში სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებისა და ამ წესის შესაბამისად.
2. სტუდენტთა მობილობის (ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლა) პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - მართვის სისტემა).
3. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.
4. მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც სსიპ-შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, დაწესებულებას შეეზღუდა სტუდენტთა მიღების უფლება ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისათვის დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
6. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც

დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია, ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.

7. სტუდენტის მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ (გარდა რიგგარეშე მობილობისა), მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
8. მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის, დგინდება:

   ა) დაწესებულებების მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის მართვის სისტემაში ელექტრონულად წარმოდგენის ვადა;

   ბ) მობილობის მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა;

   გ) მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვის ვადა.
9. სეუ უფლებამოსილია, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, ელექტრონულად წარადგინოს კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც ასევე მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების დამატებით წინაპირობას.
10. მობილობის მსურველი რეგისტრირდება ელექტრონულ პორტალზე. მობილობის მსურველს შეუძლია აირჩიოს არაუმეტეს ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა და გააკეთოს არჩევანი პრიორიტეტულობის პრინციპის დაცვით.
11. მობილობისა უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

    ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

    ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე, ასევე იმ სტუდენტებზე, რომელთაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
13. მობილობის მსურველი მოიპოვებს სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.
14. მობილობის მსურველი ვალდებულია შეამოწმოს ელექტრონულ პორტალზე მობილობის შედეგი და დადებითი პასუხის შემთხვევაში, უნდა მიმართოს სეუ-ს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში. სეუ-ში მობილობის უფლებამოპოვებული პირის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საგანმანათლებლო დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა დაწესებულებაში, სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები.
15. მობილობის უფლებამოპოვებული პირი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით სეუ-ს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე

ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16. მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მოსამზადებლად, სეუ უზრუნველყოფს სეუ-ში მობილობის უფლებამოპოვებული პირის სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებას, ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად და აცნობს სტუდენტს, რათა მან იმოქმედოს საკუთარი ინტერესის შესაბამისად - დაეთანხმოს ან წერილობითი უარი განაცხადოს მობილობაზე.
17. ამ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, სეუ-ში მობილობის უფლებამოპოვებული პირის თანხმობის შემდეგ, სეუ შეიმუშავებს და მართვის საინფორმაციო სისტემაში (დადგენილი ფორმის შესაბამისად) ასახავს სეუ-ში სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის თაობაზე რექტორის ერთიანი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რის შემდეგაც მართვის სისტემა ამოწმებს რექტორის ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს ელექტრონულ დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. მართვის სისტემა უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაციაც.
18. სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ მართვის სისტემის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ, რექტორის ბრძანება სეუ-ში სტუდენტთა მობილობით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა პირველ ოქტომბრამდე შემოდგომის ან პირველ მარტამდე გაზაფხულის სემესტრში. ბრძანება გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში აისახება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
19. სეუ-ში მობილობით ჩარიცხული სტუდენტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:
    - პირადობის მოწმობის ასლი;
    - სასწავლო ბარათი (სათანადოდ დამოწმებული);
    - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
    - ბაკალავრიატის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი (წარმოადგენენ მხოლოდ მაგისტრატურის პროგრამაზე ჩარიცხული პირები);
    - უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (წარმოადგენენ მხოლოდ სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული საქართველოს მოქალაქეები);
    - სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის ასლი;
    - გამომშვები დაწესებულებიდან ამორიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი;
    - ფოტოსურათის (3X4) ელექტრონული ვერსია.
20. მობილობით ჩარიცხვის მსურველ პირთა დოკუმენტაციის მიღება და შესაბამისი პროცედურების ორგანიზება ევალება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, მართვის საინფორმაციო სისტემაში შესატან ინფორმაციაზე პასუხისმგებელია - საქმისწარმოებისა და რეესტრის სამსახური.
21. ფაკულტეტის დეკანები, პროგრამის ხელმძღვანელები და სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაინტერესებულ სტუდენტებს კონსულტაცია გაუწიონ მობილობის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 10. სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობით გადასვლა

1. მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი მობილობის ვადებში, სტუდენტი მიმართავს განცხადებით სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს მობილობისათვის საჭირო დოკუმენტების ასლის მიწოდების შესახებ.
2. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ამზადებს შესაბამისი დოკუმენტების ასლებს და გადასცემს სტუდენტს, მომართვიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში.
3. სეუ-დან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობით გადასულ სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცემა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი და სტუდენტის პირად საქმეში არსებულ სხვა დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა სეუ-ში. მითითებული დოკუმენტების მიღებამდე, სტუდენტი ვალდებულია დაფაროს ფინანსური ან/და სხვა დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად, მართვის სისტემას წარედგინება 7 ოქტომბრამდე შემოდგომის ან 7 მარტამდე გაზაფხულის სემესტრში.

მუხლი 11. შიდა მობილობა

1. შიდა მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე, მათ შორის, სტუდენტს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.
2. სეუ-ში შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ. შიდა მობილობის ვადები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით. რიგგარეშე შიდა მობილობა შეიძლება გამოცხადდეს ან შიდა მობილობის ვადები შეიძლება შეიცვალოს რექტორის ბრძანების საფუძველზე.
3. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ მიზნით დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამად.
4. შიდა მობილობის/აღდგენის მსურველი პირი განცხადებით მიმართავს რექტორს სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით (emis.seu.edu.ge).
5. შიდა მობილობის განხორციელების პროცესში უნდა შემოწმდეს სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან.
6. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:

   ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით ან/და მე-8 პუნქტით დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისთვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;

   ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე, ასევე იმ სტუდენტებზე, რომელთაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.
8. შიდა მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მოსამზადებლად, სეუ უზრუნველყოფს შიდა მობილობის უფლებამოპოვებული პირის სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მომზადებას, ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად და აცნობს სტუდენტს, რათა მან იმოქმედოს საკუთარი ინტერესის შესაბამისად - დაეთანხმოს ან წერილობითი უარი განაცხადოს შიდა მობილობაზე.
9. შიდა მობილობით სტუდენტის ჩარიცხვა სეუ-ს ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ფორმდება რექტორის ბრძანებით და შესაბამისი ინფორმაცია აისახება რეესტრში. შიდა მობილობის შედეგები, დასრულებიდან ორი კვირის ვადაში, მიეწოდება მართვის სისტემას.
10. შიდა მობილობის მსურველ პირთა რეგისტრაცია/დოკუმენტაციის მიღება და შესაბამისი პროცედურების ორგანიზება ევალება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, ხოლო რეესტრში შესატან ინფორმაციაზე პასუხისმგებელია - საქმისწარმოებისა და რეესტრის სამსახური.
11. ფაკულტეტის დეკანები, პროგრამის ხელმძღვანელები და სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის თანამშრომლები ვალდებულნი არიან დაინტერესებულ სტუდენტებს კონსულტაცია გაუწიონ შიდა მობილობის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 12. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

1. სეუ-ს მიერ აღიარებას ექვემდებარება საქართველოში არსებული სხვა დაწესებულების იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. უცხოეთში მიღებული განათლების, ლიცენზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების, ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების, ასევე, ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული პირების განათლების აღიარება, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი კვალიფიკაციის დადასტურებას, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 98/ნ ბრძანების შესაბამისად.
3. აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების (მათ შორის - ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების) აღიარება შესაძლებელია ამავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
4. სეუ-ს ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში დიპლომირებული სპეციალისტის (პროფესიული უმაღლესი განათლების) მიერ დაგროვებული კრედიტები შეიძლება ჩათვალოს ბაკალავრის/ დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხის მოპოვების მიზნებისათვის. ბაკალავრიატის/ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისთვის დიპლომირებული სპეციალისტი უნდა ჩაირიცხოს სეუ-ში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტების აღიარება ეფუძნება მის შესაბამისობას სეუ-ს იმ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმთან, რომლის მიზნებისთვისაც ხდება სასწავლო კომპონენტის გავლის შედეგად მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენა.
6. მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მიერ სეუ-ში არჩეულ საგანმანათლებლო პროგრამასთან შესაბამისობა და შეფასების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ საკრედიტო სისტემასთან (ECTS) შესაბამისობა.
7. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის მიზნები და სწავლის შედეგები თავსებადია სეუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში არსებული სასწავლო კომპონენტის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან, ხდება მისი აღიარება.
8. აღიარებას ექვემდებარება ასევე სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი ისეთი სასწავლო კურსის/კომპონენტის კრედიტები, რომლის ეკვივალენტი არ არის შემოთავაზებული სეუ-ს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მაგრამ სასწავლო კურსის/კომპონენტის მიზნები და სწავლის შედეგები თავსებადია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან.
9. სასწავლო კურსის/კომპონენტის აღიარება ხდება მისი სილაბუსის ანალიზის საფუძველზე. სილაბუსის არარსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება სასწავლო კურსის /კომპონენტის სახელწოდება, მოცულობა და სხვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს სასწავლო კურსის/კომპონენტის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებზე.
10. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობა ნაკლებია სეუ-ს საგანმანათლებლო კურიკულუმში არსებული, შესაბამისი სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობაზე, გადაწყვეტილება შესაბამისობის შესახებ მიიღება მათი შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე.
11. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის/ კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება სეუ-ს პროგრამის კურიკულუმში არსებული, შესაბამისი სასწავლო კურსის/კომპონენტის კრედიტების რაოდენობას, ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი.
12. თუ სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის/ კომპონენტის აღიარება ხდება სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტს უღიარდება იმდენი კრედიტი, რამდენსაც ითვალისწინებს მის მიერ გავლილი სასწავლო კურსი/კომპონენტი. თუ ასეთი კრედიტების რაოდენობა მეტია სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების რაოდენობაზე, აღიარებულ იქნება სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ნორმირებული რაოდენობა, ხოლო დანარჩენი კრედიტები პირობითად იქნება აღიარებული, ანუ კრედიტების საერთო რაოდენობის განმსაზღვრელი არ იქნება, თუმცა, აისახება სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (emis.seu.edu.ge) და ჩაიწერება დიპლომის დანართში (პროგრამით დადგენილი კრედიტების მოცულობაზე ზევით).
13. თუ სტუდენტის მიერ სხვა დაწესებულებაში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა იყენებდა განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, სეუ უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს ოფიციალური

დოკუმენტის წარმოდგენა, რომელშიც მიეთითება ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან ან კანონმდებლობით დადგენილი წესით თვითონ გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებით შემდეგი წესების დაცვით:

ა) თუ წარმოდგენილია სასწავლო ბარათი, სადაც მითითებულია სტუდენტის მიერ შესწავლილი საგნების მოცულობა ასტრონომიულ საათებში - ცალკეული საგნის დატვირთის საათების რაოდენობა მრავლდება 3-ზე და იყოფა ერთი კრედიტის ექვივალენტზე საათებში, ანუ 25-ზე. მაგ., თუ ასტრონომიულ საათებში საგნის დატვირთვა შეადგენს 60 საათს, ის მრავლდება 3-ზე და იყოფა 25-ზე: 60x3/25=7,2, დამრგვალებით შეესაბამება 7 კრედიტს;

ბ) შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე გადაყვანა უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპით:

- ფრიადი (5) = 91 ქულა (A)
- კარგი (4) = 71 ქულა (C)
- დამაკმაყოფილებელი (3) = 61 ქულა (D)

გ) თუ სტუდენტს სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“, მაშინ მისი აღიარება ხდება 5 ბალიანი სისტემიდან 100 ქულიან სისტემაზე პირობითი გადაყვანის პრინციპის შესაბამისად (ზემოთ მითითებული ცხრილის შესაბამისად);

დ) ე.წ. „ჩათვლის“ აღიარება უნდა მოხდეს 5 ბალიანი სისტემიდან 100 ქულიან სისტემაზე პირობითი გადაყვანის პრინციპის შესაბამისად სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულის დამრგვალებით მთელ რიცხვამდე, რაც განისაზღვრება „ჩათვლის“ პირობითად მინიჭებულ ქულად.

14. აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზნით, სეუ-ში ჩარიცხული სტუდენტი განცხადებით მიმართავს რექტორს და თან დაურთავს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა მიღებული განათლების აღიარებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში);

ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომისა და დიპლომის დანართის (დანართის არარსებობის შემთხვევაში - სასწავლო ბარათის) შესაბამისი წესით დამოწმებული ასლი;

გ) ცნობა კვალიფიკაციის მიმნიჭებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის, სწავლის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ, შესაბამისი დოკუმენტებით, გაცემული და დამოწმებული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ (საჭიროების შემთხვევაში);

დ) საგანმანათლებლო კომპონენტების აღწერები/სილაბუსები, გაცემული კვალიფიკაციის მიმნიჭებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ (საჭიროების შემთხვევაში).

15. ამ მუხლის მე-14 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, რექტორი ბრძანებით ქმნის აღიარების კომისიას, რომლის შემადგენლობაც დგინდება ინდივიდუალურად, პროგრამის სპეციფიკისა და წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით.

16. სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის

ხელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში - კომისიის) მიერ ხელმოწერილი დასკვნით, რომელშიც მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამასთან და აღიარებული კრედიტების რაოდენობა. თუ სტუდენტს ესაჭიროება დამატებითი სემესტრის/სემესტრების გავლა, ამის თაობაზე უნდა ეცნობოს წინასწარ.

17. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების/დოკუმენტაციის ორგანიზება ევალება სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში დაცული უნდა იქნას სტუდენტის უფლება თავისუფალი არჩევანის შესახებ.
2. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სეუ ვალდებულია პროგრამის გაუქმებამდე მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და მიაწოდოს მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სეუ-ში ან სხვა განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის შესახებ ინფორმაცია.
3. თუ სეუ-ში არ ხორციელდება გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, სეუ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმისა და სსიპ - მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი მობილობის ვადებში ხელს შეუწყობს და განახორციელებს სტუდენტთა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაყვანას (მობილობას).
4. თუ სეუ-ში ხორციელდება გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტი აკეთებს არჩევანს შიდა ან გარე მობილობას შორის.
5. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, სეუ უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის არსებული საგანმანათლებლო პროგრამის და მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს შორის თავსებადობის დადგენას. საჭიროების შემთხვევაში, სეუ სტუდენტს სთავაზობს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სტუდენტი.
6. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია, სწავლა გააგრძელოს მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ან გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებად საგანმანათლებლო პროგრამაზე, ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად აღიარებული კრედიტებით.

თავი IV.
სასწავლო პროცესი

მუხლი 14. სასწავლო პროცესის ვადები

1. სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვრება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აკადემიური კალენდრით. აკადემიური კალენდარი საჯაროობის მიზნით განთავსდება ვებგვერდზე: www.seu.edu.ge.

2. აკადემიური წელი შედგება ორი - შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისგან და მათ შორის დასვენების პერიოდისგან (არდადეგებისგან), რომელიც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.
3. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.
4. სასწავლო კვირა არის დროის 6 დღიანი პერიოდი, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, რომელზეც ნაწილდება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.
5. ერთი აკადემიური საათი უტოლდება 60 წუთს და მოიცავს: სააუდიტორიო დატვირთვა - 50 წუთი, შესვენება - 10 წუთი.
6. როგორც წესი, საქართველოს შრომის კოდექსის 30-ე მუხლით დადგენილი უქმე დღეების განმავლობაში სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს.
7. სასწავლო პროცესის ვადები შესაძლებელია შეიცვალოს საჭიროებიდან გამომდინარე, რის შესახებაც გამოიცემა რექტორის სამართლებრივი აქტი.
8. პროგრამის სპეციფიკისა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, შესაძლოა რექტორის ბრძანებით განისაზღვროს ზაფხულის დამატებითი სემესტრის ვადები.

მუხლი 15. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, ყოველი ახალი სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე, სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, რომლის ვადებს ბრძანებით განსაზღვრავს რექტორი.
2. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის გადახდას სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკით და წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე სტუდენტი ვერ გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას.
3. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (emis.seu.edu.ge) საშუალებით. სისტემაში, სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია მისი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები.
4. აკადემიური რეგისტრაციის პროცესში, სტუდენტს აქვს მისი ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებისა და ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის ეფექტურად ფორმირების შესაძლებლობა. სტუდენტი თავისუფალია სასწავლო კომპონენტების, მათი განმახორციელებელი პერსონალისა და ჯგუფის არჩევანში. სასწავლო კომპონენტზე რეგისტრაცია შეზღუდულია კონკრეტული სასწავლო კომპონენტის დაშვების წინაპირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას დადგენილ დროს, იგი ვალდებულია მიმართოს სეუ-ს განცხადებით (emis.seu.edu.ge-დან), სადაც მითითებული იქნება რეგისტრაციის გაუვლელობის დასაბუთებული მიზეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ძალაში შევიდეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურა. ამ შემთხვევაში,

სტუდენტს შესაძლებელია გამონაკლისის სახით მიეცეს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე აკადემიური რეგისტრაციის გავლის უფლება, თუ იმ დროისთვის არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.

6. სასწავლო კომპონენტის შეცვლა/გაუქმება/დამატება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, თუ იმ დროისთვის არ არის მიღებული სხვა გადაწყვეტილება.
7. სასწავლო ჯგუფის გახსნის წინაპირობაა არანაკლებ 12 სტუდენტი. გამონაკლისი დგინდება რექტორის გადაწყვეტილებით, სასწავლო კურსის/კომპონენტის სპეციფიკისა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით.

მუხლი 16. საკრედიტო სისტემა

1. სეუ-ში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS).
2. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
3. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ კომპონენტებს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით.
4. საკონტაქტო საათი გულისხმობს სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრულ დროს, რომელიც რეალიზდება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით, ხოლო დამოუკიდებელი საათი არის სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, რომელიც არ ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობას.
5. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არის დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.
6. სეუ-ში, სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში 60 კრედიტს ანუ 1500 საათს მოიცავს და ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს.
7. სტუდენტი უფლებამოსილია ერთი სემესტრის განმავლობაში დააგროვოს არაუმეტეს 45 ECTS კრედიტი, ზაფხულის დამატებით სემესტრში სტუდენტის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15 ECTS კრედიტს, ხოლო ერთი აკადემიური წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 ECTS კრედიტს. (ბრძანება №865 25.07.2023).
8. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ დააგროვონ წელიწადში 60 კრედიტზე მეტი, მაგრამ პროგრამით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.
9. სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი. ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.
10. კრედიტები ნაწილდება საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის შესაძლებლობების

გათვალისწინებით.

მუხლი 17. სტუდენტის შეფასების სისტემა

1. სტუდენტის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებასა და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის სემესტრის დასაწყისში, სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში - emis.seu.edu.ge.
3. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში, სტუდენტის საბოლოო შეფასების განსაზღვრისათვის, შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), შუალედური შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. შუალედურ და დასკვნით შეფასებას დადგენილი აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც დგინდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით. გამონაკლისი დგინდება კონკრეტული პროგრამის/სასწავლო კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.
4. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში, სტუდენტის საბოლოო შეფასების განსაზღვრისათვის, შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), შუალედური შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. ამასთან, როგორც შუალედურ, ისე დასკვნით შეფასებას დადგენილი აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - შუალედური/დასკვნითი შეფასების 50%.
5. სტუდენტის სწავლის შედეგების საბოლოო შეფასების მიზნებისათვის დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა.
6. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება, თუ მიღწეული აქვს შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
7. დასკვნით გამოცდამდე, სტუდენტს შეიძლება მიეცეს გამოტოვებული შუალედური შეფასების კომპონენტის (შუალედური გამოცდის) აღდგენის უფლება, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი და მიღებული აქვს ნებართვა, ელექტრონული სისტემის (emis.seu.edu.ge) საშუალებით გაგზავნილი განცხადების საფუძველზე.
8. კრედიტის მინიჭებისათვის, სტუდენტის საბოლოო შეფასება განისაზღვრება შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრისა და დასკვნითი გამოცდისათვის დადგენილი მინიმალური ზღვრის გადალახვის საფუძველზე მიღებული ქულების დაჯამებით, რომელიც უნდა შეადგენდეს არანაკლებ 51 ქულას ან მეტს.
9. შეფასების სისტემა უშვებს:

   ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

   ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

   ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

   ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

   ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

10. სტუდენტი, რომელმაც ვერ დააგროვა 51 ქულა ან ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, დამატებით გამოცდაზე დაიშვება, თუ დაგროვებული აქვს არანაკლებ 41 ქულა.
11. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა ერთჯერადად, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
12. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
13. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
14. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
15. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება სრულდება იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
16. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, როდესაც სტუდენტი დაასრულებს ნაშრომზე მუშაობას, ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული შეფასების სისტემით.
17. სამაგისტრო ნაშრომისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ.ა“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო ამავე პუნქტის „ბ.ბ“ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის მომდევნო სემესტრში წარდგენის უფლებას.
18. სტუდენტის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემაში (emis.seu.edu.ge), სადაც შეფასებათა უწყისში აისახება მიმდინარე შუალედური შეფასებები, დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდების შედეგები. ელექტრონული სისტემა ავტომატურად ახდენს სტუდენტის მიმდინარე აკადემიური მოსწრების ქულათა დაჯამებას, მათ დასკვნით და/ან განმეორებით გამოცდებზე დაშვებას (დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გათვალისწინებით) და საბოლოო შეფასების გამოყვანას. შეფასების უწყისი ასახავს თითოეული სტუდენტის ყველა შეფასებას, რომელიც მან დააგროვა სემესტრის განმავლობაში. სტუდენტს ნებისმიერ დროს შეუძლია სისტემაში საკუთარი შეფასებების კონტროლი.

მუხლი 18. გამოცდების ჩატარების ზოგადი წესი

1. გამოცდები ტარდება წერითი ან/და ზეპირი ფორმით, სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსის შესაბამისად.
2. წერითი გამოცდები ტარდება ელექტრონული ფორმით, სეუ-ს საგამოცდო ცენტრში - თითოეული სტუდენტისათვის ამ მიზნით პერსონალურად გამოყოფილ კომპიუტერთან.
3. სტუდენტი კომპიუტერის საშუალებით ასრულებს საგამოცდო დავალებას, რომელიც მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად, ღია ან დახურული ან/და შერეული ტიპის ტესტების სახით.
4. ზეპირი გამოცდა ტარდება სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი აკადემიური/ მოწვეული პერსონალის მიერ. ზეპირი გამოცდა ტარდება კომპონენტის განხორციელების ენაზე.
5. სტუდენტს ელექტრონული ფორმით ჩატარებული გამოცდის შედეგები უფიქსირდება ტესტის დამთავრებისთანავე.
6. გამოცდის შედეგები სტუდენტს აესახება ელექტრონულ სისტემაში emis.seu.edu.ge, გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში, გამოცდის ფორმატიდან გამომდინარე.
7. გამოცდაზე სტუდენტის გამოცხადების/გამოუცხადებლობის, გამოცდაზე სტუდენტის ქცევის წესები, გამოცდის შედეგების აპელაციისა და გამოცდებთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი პროცედურები განისაზღვრება სეუ-ს ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის წარმართვისა და აპელაციის წესით, რომელიც სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ვებგვერდზე და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში emis.seu.edu.ge.
8. გამოცდების ორგანიზებას და ჩატარებას (როგორც სეუ-ს კამპუსში, ისე რეგიონულ ცენტრებში) უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი, ხოლო გამოცდების მსვლელობის დროს დადგენილი პროცედურების დაცვას - დამკვირვებლები.

მუხლი 19. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასების გასაჩივრების პროცედურა

1. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის emis.seu.edu.ge-ის საშუალებით გააგზავნოს დასაბუთებული საჩივარი, რომელიც ეხება შეფასების ნებისმიერ კომპონენტს.
2. მიღებული საჩივრის განხილვისათვის დაწესებულია არაუმეტეს 5 დღე, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს საჩივარს იმ ლექტორთან ერთად, რომელსაც ეხება აღნიშნული საჩივარი და/ან ამავე სასწავლო კურსის განმახორციელებელ სხვა ლექტორთან ერთად (საჭიროების შემთხვევაში).
3. სტუდენტს ეცნობება/გაეგზავნება საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ელექტრონულ სისტემაში - emis.seu.edu.ge.
4. თუ სტუდენტი არ არის კმაყოფილი მისი გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით, მას უფლება აქვს გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, პასუხის მიღებიდან 2 დღის ვადაში. ამ შემთხვევაში, გასაჩივრება წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის არანაკლებ 3 წევრისგან შემდგარ სააპელაციო კომისიას. ლექტორი, რომელსაც ეხება საჩივარი, არ უნდა იყოს სააპელაციო კომისიის წევრი.
5. სააპელაციო კომისიის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, გასაჩივრებიდან 3 დღის

ვადაში ეცნობება სტუდენტს ელექტრონულ სისტემის emis.seu.edu.ge-ის საშუალებით.

6. სტუდენტს უფლება აქვს სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA)

1. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება.
2. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სასწავლო კომპონენტში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე სასწავლო კკომპონენტის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე.
3. GPA გამოითვლება მხოლოდ იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სტუდენტს მიღებული აქვს დადებითი შეფასება (A,B,C,D,E). FX და F შეფასება GPA–ს გამოთვლაში 0-ის ტოლია. სარეიტინგო მონაცემების მისაღებად გამოითვლება სტუდენტთა სემესტრული GPA, რა დროსაც დაჯამდება უარყოფითი შეფასებებიც.
4. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:
   - A (91-100) = 4
   - B (81-90) = 3
   - C (71-80) = 2
   - D (61-70) = 1
   - E (51-60) = 0,5

მუხლი 21. აკადემიური ხარისხის მინიჭება და უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი)

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.
2. სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 240 ან 180 კრედიტის მოგროვებისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში (ბრძანება №303 13.03.2024).
3. სტუდენტს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ენიჭება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 120 ან 60 კრედიტის მოგროვებისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად შესრულების შემთხვევაში (ბრძანება №303 13.03.2024).
4. სტუდენტს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 360ECTS კრედიტის მოგროვებისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

4[1]. სტუდენტს დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი ენიჭება დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

არანაკლებ 300 კრედიტის მოგროვებისა და პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან (ბრძანება №303 13.03.2024).

5. აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის საბჭო, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც გამოიცემა რექტორის ბრძანება, პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისა და კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დიპლომის (უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის) გაცემის შესახებ.
6. წარჩინების დიპლომი გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) შეადგენს არანაკლებ 3,5-ს და მეტს და ამასთან, სტუდენტს პროგრამის ყველა სასწავლო კურსში/კომპონენტში მიღებული აქვს არანაკლებ „B“ შეფასება. ყველა სხვა შემთხვევაში გაიცემა ჩვეულებრივი დიპლომი.
7. აკადემიური ხარისხის მინიჭება დასტურდება დიპლომით, რომელიც ხელმოწერილია სეუ-ს რექტორისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ და დამოწმებულია სეუ-ს ბეჭდით. დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი.
8. დიპლომის გაცემა მფლობელზე წარმოებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) წარმოდგენის საფუძველზე.
9. დიპლომის გაცემა შესაძლებელია დიპლომის მფლობელის წარმომადგენელზე, მინდობილობისა და მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პასპორტის) წარდგენის შემთხვევაში.
10. დიპლომის მფლობელი/წარმომადგენელი დიპლომის მიღების ფაქტს ადასტურებს დიპლომების სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით.
11. დიპლომის დაკარგვის/გამოყენებლად უვარგისად გახდომის შემთხვევაში, კურსდამთავრებულის მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა დუბლიკატი.

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა და დამატებითი სემესტრი/ სემესტრები

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა სტანდარტულად განისაზღვრება:
   ა) ბაკალავრიატის საფეხურის პროგრამებისათვის - 8 ან 6 სემესტრი;
   ბ) მაგისტრატურის საფეხურის პროგრამებისათვის - 4 ან 2 სემესტრი;
   გ) დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის პროგრამისათვის - 12/10 სემესტრი.
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაში არ შედის ის დრო, როდესაც სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი.
3. სტუდენტმა, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა დაასრულოს საგანმანათლებლო პროგრამა მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში, თვითდაფინანსების გზით.
4. დამატებით სემესტრში/სემესტრებში სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის გამოთვლის წესის შესაბამისად.

მუხლი 23. ზაფხულის დამატებითი სემესტრი

1. საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის მიზნით, სტუდენტებს სასწავლო წლის დასასრულს,

გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი გამოცდების შემდეგ (არდადეგების პერიოდში) ეძლევათ ზაფხულის დამატებითი სემესტრით სარგებლობის უფლება.

2. ზაფხულის დამატებითი სემესტრი წარმოადგენს სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო კურს(ებ)ის სწავლების დამატებით საშუალებას.
3. სტუდენტს ზაფხულის დამატებით სემესტრის ფარგლებში სასწავლო კურსის/კომპონენტის გავლის უფლება აქვთ შემდეგ შემთხვევაში:

   ა) სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება განვლილ სემესტრ(ებ)ში;

   ბ) მობილობით გადმოსულ ან სტატუსაღდგენილ სტუდენტს, რომელსაც არ გაუვლია კონკრეტული სასწავლო კურსი/კომპონენტი და მისი გაუვლელობა მნიშვნელოვნად აფერხებს შემდეგ სემესტრებში სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობას;

   გ) სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროებიდან გამომდინარე;
4. *ამოღებულია (ბრძანება N663 11.08.2022);*
5. *ამოღებულია (ბრძანება N663 11.08.2022);*
6. ზაფხულის დამატებითი სემესტრის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო კურსი/ კომპონენტი ტარდება ყველა ის სასწავლო დატვირთვის გათვალისწინებით, რაც გაწერილია სილაბუსით.
7. ზაფხულის დამატებითი სემესტრის პერიოდში სტუდენტი სწავლობს თვითდაფინანსებით და მისი სწავლის საფასური განისაზღვრება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისთვის დადგენილი საფასურის გამოთვლის წესის შესაბამისად.

თავი V.
ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 24. ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამა და მისი შემუშავების წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა (გეგმა) არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის შედგენილი დოკუმენტი, რომელიც ეხმარება მას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში.
2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) არის პირი, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი, მეტყველების, ქცევის, ემოციური განვითარების, ასევე მხედველობის ან სმენის დარღვევით, ან რომელსაც აქვს გრძელვადიანი მკურნალობის/ ჰოსპიტალიზაციის საჭიროება.
3. სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაში მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობა სწავლის პროცესში ან სწავლის სირთულეები, რომელსაც აწყდება სტუდენტი და რომლის დაძლევაც შეუძლებელია სპეციალური დახმარების გარეშე.
4. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა შეიძლება შეთავაზებული იქნეს:

   ა) მოტორული, მხედველობითი ან აუდიალური შეზღუდვების მქონე სტუდენტებისთვის, რომლებისთვის შეუძლებელია პროგრამით დადგენილი ფორმით სალექციო/პრაქტიკული/ საგამოცდო პროცესებში მონაწილეობა;

   ბ) ჯანმრთელობის პრობლემების მქონე სტუდენტებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ჩაერთონ პროგრამით გათვალისწინებულ საკონტაქტო აქტივობებში;

გ) პატიმრობაში მყოფი (ბრალდებული, მსჯავრდებული) სტუდენტებისთვის, რომლებიც ვერ ახერხებენ სეუ-ში მოსვლას და საკონტაქტო აქტივობებში ჩართვას, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში;

დ) სტუდენტებისთვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ყოფნის ან სხვა სოციალური მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ აკადემიური კალენდრით გათვალისწინებულ ვადებში სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში მონაწილეობას.

5. სტუდენტი, ჩარიცხვის ან სწავლის პერიოდში უფლებამოსილია, პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, მიმართოს სეუ-ს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მოთხოვნით.
6. სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებლებთან ერთად, ადგენს ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმას.
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში შესაძლებელია ჩაერთოს შესაბამისი ჯანდაცვის, სოციალური თუ სხვა სამსახურების წარმომადგენლები, რომელთა სპეციალური ცოდნა მნიშვნელოვანია სტუდენტის საჭიროებათა სრულად გათვალისწინებისთვის.
8. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა, კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ ამოიწურებოდეს, საგანმანათლებლო პროცესის შემდეგი მოდიფიცირებებით:

ა) მოტორული დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - სასემინარო და საგამოცდო დავალებათა ზეპირ ფორმატში გადაყვანა, ლექტორის მონაწილეობით;

ბ) მხედველობითი დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - ვიზუალური მასალის აუდირებაში დახმარებას, ლექტორისა თუ ბიბლიოთეკის თანამშრომლის მონაწილეობით, ასევე ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოდიფიცირება;

გ) აუდიალური დარღვევების მქონე სტუდენტებისთვის - სალექციო მასალის ვიზუალური ფორმატით გადაცემისა და სასემინარო-საგამოცდო მასალის აუდიალურ ფორმატში გადმოცემის უზრუნველყოფას, რიდერების, ლექტორის კონსპექტებისა და სხვა თვალსაჩინოების გამოყენებით;

დ) სტუდენტებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ ჩაერთონ საკონტაქტო პროცესში - სალექციო მეცადინეობის ელექტრონული ვიდეოკავშირის ფორმით მიღების, ხოლო საგამოცდო პროცესის - დისტანციურად, შესაბამისი მეთვალყურეობით ჩატარების უზრუნველყოფით;

ე) სტუდენტებს, რომლებიც ვერ ახერხებენ განახორციელონ პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები აკადემიური კალენდარით გათვალისწინებულ ვადებში, დასაშვებია:

ე.ა) საგამოცდო და სასემინარო პროცესის სეუ-ს აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადაზე ადრე ჩაბარება;

ე.ბ.) საგამოცდო და სასემინარო პროცესის სეუ-ს აკადემიური კალენდრით დადგენილ ვადაზე გვიან ჩაბარება - მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაუძლეველი ძალის მიზეზით ვერ მოახერხეს ამ პროცესში ჩართვა აკადემიური კალენდარით დადგენილ პერიოდში.

9. ინდივიდუალურ საგანმანათლებლო გეგმაში უნდა განისაზღვროს მის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები/მოქმედებები.
10. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მუხლი 25. სწავლა-სწავლების არასრული დატვირთვის რეჟიმი

1. სეუ უფლებამოსილია, სტუდენტის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.
2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.
3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.
4. სასწავლო კურსების სწავლების თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მათი სწავლება განხორციელდეს კურაციის ფორმატით.
5. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმში სასწავლო პროცესის მიმდინარეობა აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

თავი VI.
სწავლის გადასახადი და დამატებითი მომსახურების საფასური

მუხლი 26. სწავლის საფასური

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და აისახება სეუ-ს და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
2. სწავლის საფასური იფარება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, სტუდენტთან შეთანხმებული გრაფიკისა და ოდენობის შესაბამისად. აღნიშნული შეთანხმების გრაფიკი დაერთვის ხელშეკრულებას და არის მისი განუყოფელი ნაწილი.
3. სტუდენტთან არსებული სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალურ გრაფიკზე შეთანხმება გამორიცხავს სეუ-ს მიერ დადგენილი ფინანსური შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობას.
4. სახელმწიფო დაფინანსების (სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სახელმწიფო სასწავლო სოციალური გრანტი, ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსება და ა შ) მქონე სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდა ხდება სახელმწიფო დაფინანსების გათვალისწინებით სწავლის საფასურის დარჩენილი ოდენობით ამ მუხლით დადგენილი წესით.
5. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის გრაფიკის (სტანდარტული გრაფიკი) ზევით წინსწრებით გადახდილი სწავლის საფასურის უკან დაბრუნება ან შენახვა სტუდენტის სწავლის საფასურის ბალანსზე, რომელიც სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ჩაეთვლება სწავლის საფასურში.

მუხლი 27. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. კრედიტის საფასური

1. დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებად მიიჩნევა სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული გეგმური წლიური დატვირთვის (60 კრედიტი) ზემოთ, მაგრამ წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტისა, არჩეული სასწავლო კურსის შემოდგომის, გაზაფხულის ან/და ზაფხულის დამატებით სემესტრში გასაწევი მომსახურება.
2. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების საფასური განისაზღვრება სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსისთვის/კომპონენტისთვის პროგრამით მინიჭებული კრედიტების

რაოდენობის ღირებულებით. ერთი კრედიტის ღირებულება გამოითვლება შესაბამის პროგრამაზე სწავლების წლიური საფასურის 60-ზე, ანუ გეგმიური წლიური დატვირთვის კრედიტების რაოდენობაზე გაყოფის გზით.

3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობის ვადებში არჩეული სასწავლო კურსის/კომპონენტის განმეორებით გავლისათვის (უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში) ერთი კრედიტის საფასური განისაზღვრება ამ მუხლის მესამე პუნქტით დადგენილი საფასურის 50%-ით. აღნიშნული არ ვრცელდება დამატებითი სემესტრის გავლის შემთხვევაში.

თავი VII.
სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

მუხლი 28. სტუდენტის უფლებები

1. სეუ-ს ყველა სტუდენტი თანასწორია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისა და პრინციპების წინაშე. დაუშვებელია სტუდენტის რაიმე ფორმით დისკრიმინაცია.
2. სტუდენტს უფლება აქვს:
   ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
   ბ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით, სეუ-ს მიერ დადგენილი წესით;
   გ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, სეუ-ს მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში;
   დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს და/ან გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში;
   ე) პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პერსონალის მუშაობა;
   ვ) გაასაჩივროს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური ან/ და დასკვნითი შეფასებები სეუ-ს მიერ დადგენილი წესით;
   ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 29. სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტის ვალდებულია:
   ა) დაიცვას და შეასრულოს სეუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
   ბ) შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი აკადემიური მოთხოვნები;
   გ) დაიცვას სეუ-ს ეთიკის კოდექსი, ეს წესი და სხვა მარეგულირებელი აქტები;
   დ) გაუფრთხილდეს სეუ-ს კუთვნილ ქონებას.

თავი VIII.
დასკვნითი დებულებები

მუხლი 30. დასკვნითი დებულებები

1. წესი მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ძალაშია დამტკიცებისთანავე.
2. წესში შესული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
3. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ წესით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და სეუ-ს შიდა სამართლებრივი აქტებით.